72. სრულიად საქართველოს ცაკისა და საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს 1931 წლის 18 იანვრის დადგენილება „სამოქალაქო სამართლის კოდექსის 171 მუხლის „თ“ პუნქტის შეცვლის შესახებ“.

(საქ. სსრ კან. კრ. 1931 წელი, № 3, მუხ. 30).

73. სრულიად საქართველოს ცაკისა და საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს 1931 წლის 18 იანვრის დადგენილება „სამოქალაქო სამართლის კოდექსის $267^{1}$ მუხლის რედაქციის შეცვლის შესახებ“.

(საქ. სსრ კან. კრ. 1931 წელი, № 3, მუხ. 32).

74. სრულიად საქართველოს ცაკისა და საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს 1931 წლის 3 აპრილის დადგენილება „საავტორო უფლების დებულების მე-10 მუხლისათვის „ნ$^{1}$“ პუნქტის დამატების შესახებ“.

(საქ. სსრ კან. კრ. 1931 წელი, № 10, მუხ. 103).

75. სრულიად საქართველოს ცაკისა და საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს 1931 წლის 19 აპრილის დადგენილება „სამოქალაქო სამართლის კოდექსის 156 მუხლის შეცვლის შესახებ“.

(საქ. სსრ კან. კრ. 1931 წელი, № 10, მუხ. 101).

76. სრულიად საქართველოს სსრ ცაკისა და საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს 1931 წლის 27 აპრილის დადგენილება „სამოქალაქო სამართლის კოდექსის 172 მუხლის დანართის მე-2 მუხლის „ა“ ლიტერის დამატების შესახებ“.

(საქ. სსრ კან. კრ. 1931 წელი, № 10, მუხ. 102).

ეროვნული ბიბლიოთეკა

77. სრულიად საქართველოს ცაკისა და საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს 1931 წლის 4 ივლისის დადგენილება „სამოქალაქო სამართლის კოდექსის $156^{1}$ მუხლის შეცვლის შესახებ“.

(საქ. სსრ კან. კრ. 1931 წელი, № 14, მუხ. 157).

78. სრულიად საქართველოს ცაკისა და საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს 1931 წლის 13 ივლისის დადგენილება „მოქალაქეთა მიერ დაჭერილი სადგომებიდან ადმინისტრაციული წესით მათი გამოსახლების წესისა და პირობების თაობაზე“ გამოცემული 1927 წლის მარტის 20-ის დეკრეტის მე-4, მე-5, 8, 9 და 11 მუხლების შეცვლისა და ამავე დეკრეტისათვის მე-$11^{1}$ მუხლის დამატების შესახებ“.

(საქ. სსრ კან. კრ. 1931 წელი, № 15, მუხ. 177).

79. სრულიად საქართველოს ცაკისა და საქართველოს სახკომსაბჭოს 1931 წლის 27 ოქტომბრის დადგენილება „სამოქალაქო სამართლის კოდექსის 428 მუხლის 1-ლი შენიშვნისა, 430 მუხლის და მისი 1-ლი შენიშვნისა და 431 და 434 მუხლების შეცვლის შესახებ“.

(საქ. სსრ კან. კრ. 1931 წელი, № 33, მუხ. 242).

80. სრულიად საქართველოს ცაკისა და საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს 1932 წლის 5 მარტის დადგენილება „სამოქალაქო სამართლის კოდექსის 322 მუხლის რედაქციის შეცვლისა და იმავე კოდექსის 323-$366^{102}$ მუხლების გაუქმების შესახებ“.

(საქ. სსრ კან. კრ. 1932 წელი, № 5, მუხ. 46).

81. სრულიად საქართველოს ცაკისა და საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს 1932 წლის 13 ივნისის დადგენილება „სამოქალაქო სამართლის კოდექსის 22 მუხლის რედაქციის შეცვლისა და $22^{1}$ მუხლის და 22 მუხლის დანართის გაუქმების შესახებ“.

(საქ. სსრ კან. კრ. 1932 წელი, № 17, მუხ. 131).

82. სრულიად საქართველოს ცაკის 1932 წლის 17 ივნისის დადგენილება „საქართველოს სსრ კოდექსების იმ ცვლილებების დამტკიცების შესახებ, რაც მიღებულ იქნა სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის სესიებს შუა“ სამოქალაქო სამართლის კოდექსის ნაწილში.

(საქ. სსრ კან. კრ. 1932 წელი, № 19, მუხ. 148).

83. სრულიად საქართველოს ცაკისა და საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს 1932 წლის 22 ივნისის დადგენილება „სამოქალაქო სამართლის კოდექსისათვის $44^{1}$ მუხლის დამატების შესახებ“.

(საქ. სსრ კან. კრ. 1932 წელი, № 17, მუხ. 132).

84. სრულიად საქართველოს ცაკისა და საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს 1932 წლის 22 ივნისის დადგენილება „დაჭერილი სადგომებიდან მოქალაქეთა ადმინისტრაციული წესით გამოსახლების თაობაზე გამოცემული დეკრეტისათვის მე-2 მუხლის „ლ“ და „მ“ პუნქტებისა და $12^{1}$ მუხლის დამატების შესახებ“.

(საქ. სსრ კან. კრ. 1932 წელი, № 20, მუხ. 170).

მთავარი ბიბლიოთეკა

85. სრულიად საქართველოს ცაკისა და საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს 1932 წლის 22 აგვისტოს დადგენილება „სახლის დროებით მდგმურებისა და სახლიდან დროებით წასულებისათვის საცხოვრებელ სივრცეზე უფლების შენარჩუნების პირობების დებულების $4^1$ და 12 მუხლით შევსებისა და ამავე დებულების მე-5 მუხლის შენიშვნის ამოშლის შესახებ“.

(საქ. სსრ კან. კრ. 1932 წელი, № 20, მუხ. 169).

86. სრულიად საქართველოს ცაკისა და საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს 1932 წლის 5 დეკემბრის დადგენილება „სამოქალაქო სამართლის კოდექსის 101 მუხლის რედაქციის შეცვლის შესახებ“.

(საქ. სსრ კან. კრ. 1932 წელი, № 24, მუხ. 240).

87. სრულიად საქართველოს ცაკისა და საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს 1932 წლის 22 ნოემბრის დადგენილება „სამოქალაქო სამართლის კოდექსისათვის $44^2$ მუხლის დამატების შესახებ“.

(საქ. სსრ კან. კრ. 1933 წელი, № 1, მუხ. 6).

88. სრულიად საქართველოს ცაკისა და საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს 1932 წლის 22 ნოემბრის დადგენილება „სამოქალაქო სამართლის კოდექსის 413 და 414 მუხლების შეცვლის შესახებ“.

(საქ. სსრ კან. კრ. 1933 წელი, № 1, მუხ. 7).

89. სრულიად საქართველოს ცაკისა და საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს 1933 წლის 28 იანვრის დადგენილება „სამოქალაქო სამართლის კოდექსის შეცვლისა და დამატების შესახებ“.

(საქ. სსრ კან. კრ. 1933 წელი, № 5, მუხ. 68).

90. სრულიად საქართველოს ცაკისა და საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს 1933 წლის 28 იანვრის დადგენილება „სამოქალაქო სამართლის კოდექსისათვის $153^1$ მუხლის დამატების შესახებ“.

(საქ. სსრ კან. კრებ. 1933 წელი, № 5, მუხ. 69).

91. სრულიად საქართველოს ცაკისა და საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს 1933 წლის 27 ოქტომბრის დადგენილება „სამოქალაქო სამართლის კოდექსის 114 მუხლის შეცვლის შესახებ“.

(საქ. სსრ კან. კრ. 1933 წელი, № 25, მუხ. 315).

92. სრულიად საქართველოს ცაკისა და საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს 1933 წლის 27 ოქტომბრის დადგენილება „დაჭერილი სადგომებიდან მოქალაქეთა ადმინისტრაციული წესით გამოსახლების თაობაზე“ გამოცემული დეკრეტის (სამოქალაქო სამართლის კოდექსის 172 მუხლის დანართი) მე-2 მუხლის „ნ“ პუნქტის შეცვლის შესახებ“.

(საქ. სსრ კან. კრ. 1933 წელი, № 25, მუხ. 316).

93. სრულიად საქართველოს ცაკისა და საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს 1933 წლის 14 დეკემბრის დადგენილება „სამოქალაქო სამართლის კოდექსის ზოგიერთი მუხლის ქართული რედაქციის შეცვლის შესახებ“.

(საქ. სსრ კან. კრ. 1933 წელი, № 26, მუხ. 339).

94. სრულიად საქართველოს ცაკის 1934 წლის 29 მარტის დადგენილება „საქართველოს სსრ კოდექსების იმ ცვლილებების დამტკიცების შესახებ, რაც

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიღებულ იქნა სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის სესიებს შუა" სამოქალაქო სამართლის კოდექსის ნაწილში.

(საქ. სსრ კან. კრ. 1934 წელი, № 9, მუხ. 85).

95. სრულიად საქართველოს ცაკისა და საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს 1934 წლის 5 ივნისის დადგენილება „სამოქალაქო სამართლის კოდექსის 71 მუხლის მე-2 ნაწილის ქართული რედაქციის შეცვლის შესახებ".

(საქ. სსრ კან. კრ. 1934 წელი, № 14, მუხ. 129).

96. სრულიად საქართველოს ცაკისა და საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს 1935 წლის 11 მაისის № 35/549 დადგენილება „სამოქალაქო სამართლის კოდექსის $44^1$ და $44^2$ მუხლების შეცვლის შესახებ".

(საქ. სსრ კან. კრ. 1935 წელი, № 16, მუხ. 103).

97. სრულიად საქართველოს ცაკისა და საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს 1935 წლის 16 ოქტომბრის № 83/1432-ა დადგენილება „სამოქალაქო სამართლის კოდექსში ცვლილებათა შეტანის შესახებ".

(საქ. სსრ კან. კრ. 1935 წელი, № 30, მუხ. 186).

98. სრულიად საქართველოს ცაკისა და საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს 1935 წლის 16 ოქტომბრის № 85/1434-ა დადგენილება „სამოქალაქო სამართლის კოდექსის 405 მუხლის შეცვლის შესახებ".

(საქ. სსრ კან. კრ. 1935 წელი, № 30, მუხ. 187).

99. სრულიად საქართველოს ცაკისა და საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს 1936 წლის 14/26 მარტის № 125/316 დადგენილება „სამოქალაქო სამართლის კოდექსის 265 მუხლის მე-2 შენიშვნისათვის მეორე ნაწილის დამატების შესახებ".

(საქ. სსრ კან. კრ. 1936 წელი, № 8, მუხ. 54).

100. სრულიად საქართველოს ცაკისა და საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს 1936 წლის 4 ივნისის № 145/622 დადგენილება „სამოქალაქო სამართლის კოდექსის 50 მუხლისათვის მეორე ნაწილის დამატების შესახებ".

(საქ. სსრ კან. კრ. 1936 წელი, № 18, მუხ. 100).

101. სრულიად საქართველოს ცაკისა და საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს 1936 წლის 29 ივნისის № 150/754 დადგენილება „საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსისათვის $171^1$ მუხლის დამატების შესახებ".

(საქ. სსრ კან. კრ. 1936 წელი, № 19, მუხ. 112).

102. სრულიად საქართველოს ცაკისა და საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს 1936 წლის 20 ოქტომბრის № 172/1377 დადგენილება „კერძო პირთა და საზოგადოებათა ქონების რეკვიზიციისა და კონფისკაციის დებულების (სამოქალაქო სამართლის კოდექსის 69 და 70 მუხლების დანართი) მე-3 მუხლის შეცვლის შესახებ".

(საქ. სსრ კან. კრ. 1936 წელი, № 27, მუხ. 161).

103. სრულიად საქართველოს ცაკისა და საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს 1937 წლის 23 ნოემბრის № 225/1112 დადგენილება „საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 69 და 70 მუხლების დანართის „კერძო პირთა

ეროვნული ბიბლიოთეკა

და საზოგადოებათა ქონების რეკვიზიციისა და კონფისკაციის წესის“ მე-4 მუხლის მე-2 შენიშვნის შეცვლის შესახებ“.

(საქ. სსრ კან. კრ. 1937 წელი, № 18, მუხ. 130).

104. საქართველოს სსრ ცაკისა და საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს 1938 წლის 8 ივნისის № 267/595 დადგენილება „საქართველოს სსრ სამოქალაქო კოდექსის 44³ და 45 მუხლების შეცვლის შესახებ“.

(საქ. სსრ კან. კრ. 1938 წელი, № 14, მუხ. 66).

105. საქართველოს სსრ ცაკისა და საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს 1938 წლის 2 ივლისის № 271/848 დადგენილება „სამოქალაქო სამართლის კოდექსში ცვლილებათა შეტანის შესახებ“.

(საქ. სსრ კან. კრ. 1938 წელი, № 17, მუხ. 82).

106. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1943 წლის 31 აგვისტოს ბრძანებულება „საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 172 მუხლის დანართის ნაწილობრივ შეცვლის შესახებ“.

(საქ. სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სხდომის ოქმი № 29, 1944 წელი, მუხ. 32).

107. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1945 წლის 28 მაისის ბრძანებულება „საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“.

(საქ. სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სხდომის ოქმი № 31, 1946 წელი, მუხ. 72).

108. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1945 წლის 6 დეკემბრის ბრძანებულება „საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 265 მუხლის მე-8 შენიშვნის და 424 მუხლის შენიშვნის შეცვლის შესახებ“.

(საქ. სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სხდომის ოქმი № 31, 1946 წელი, მუხლი 123).

109. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1947 წლის 16 მაისის ბრძანებულება „საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ.“

(საქ. სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სხდომის ოქმი № 2, 1947 წელი, მუხ. 10).

110. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1951 წლის 14 თებერვლის ბრძანებულება „საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 429 და 432 მუხლების ცვლილების შესახებ.“

(საქ. სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1951 წელი, № 2, მუხ. 11).

111. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს 1951 წლის 20 აპრილის კანონი „საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 429 და 432 მუხლების ცვლილების თაობაზე გამოცემული საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების შესახებ“.

(საქ. სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1951 წელი, № 2, მუხ. 9).

112. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1958 წლის 21 აპრილის ბრძანებულება „საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 88[1] მუხლის ნაწილობრივ შეცვლისა და დამატების და საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსში 147[1] მუხლის შეტანის შესახებ“ მეორე პუნქტი.

(საქ. სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1958 წელი, № 2, მუხ. 13).

113. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს 1958 წლის 28 ნოემბრის კანონი „საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 88[1] მუხლის ნაწილობრივ შეცვლისა და დამატების და საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსში 147[1] მუხლის შეტანის თაობაზე“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების შესახებ“ იმ ნაწილში, რომელიც შეეხება 147[1] მუხლს.

(საქ. სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1958 წელი, № 5, მუხლი 6).

114. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1961 წლის 26 იანვრის ბრძანებულება „საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 68-ე მუხლისა და 69-ე მუხლის შენიშვნის შეცვლის შესახებ“.

(საქ. სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1961 წელი· № 3. მუხ. 49).

115. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს 1961 წლის 27 დეკემბრის კანონი „საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 68 მუხლისა და 69 მუხლის შენიშვნის შეცვლის თაობაზე“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების შესახებ“.

(საქ. სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1961 წელი, № 36, მუხ. 551).

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

## დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 397 მახარაძის, თელავისა და ორჯონიკიძის რაიონებში მოქალაქეთა საერთო კრებების (სასოფლო ყრილობების) ჩატარებისა და მიღებული დადგენილებების შესრულების მდგომარეობის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი აღნიშნავს, რომ მახარაძის, თელავისა და ორჯონიკიძის რაიონების მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასკომები მნიშვნელოვან ღონისძიებებს ატარებენ მოქალაქეთა საერთო კრებების (სასოფლო ყრილობების) ჩატარებისა და მიღებული დადგენილებების შესრულების საქმეში. მოქალაქეთა საერთო კრებებზე იხილავენ სოფლებისა და დაბების კეთილმოწყობის, საყოფაცხოვრებო მომსახურების, ვაჭრობის, განათლების, კულტურის, სამედიცინო დაწესებულებების მუშაობის, ზემდგომი პარტიული და საბჭოთა ორგანოების დადგენილებების განხორციელების მდგომარეობის საკითხებს.

მახარაძის რაიონის სოფლის მოსახლეობის საერთო კრებებზე განხილულია: რაიონული საბჭოს აღმასკომის მუშაობის ანგარიში, სოფლის კეთილმო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

წყობისა და მოსახლეობის კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურების მდგომარეობის, ოჯახისა და საზოგადოებრიობის როლის შესახებ ახალგაზრდათობის აღზრდის საქმეში, საზოგადოებრიობის როლი სოციალისტური კანონიერების დაცვისა და დანაშაულობათა წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში, სოფლად საკომლო მეურნეობისა და მიწათსარგებლობის მდგომარეობის შესახებ და სხვ.

ორჯონიკიძის რაიონის სოფლის მოსახლეობის საერთო კრებებზე განხილულია: საგაზაფხულო სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებში მოსახლეობის მონაწილეობის, 1964-65 სასწავლო წლისათვის მზადების, სოფლის მოსახლეობის სავაჭრო მომსახურების საკითხები და სხვ.

ასეთივე მნიშვნელოვანი საკითხებია განხილული თელავის რაიონის სოფლის მოსახლეობის საერთო კრებებზეც.

სოფლის ყრილობები განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობენ თვითდაბეგვრის თანხების ათვისებისა და დანიშნულებისამებრ გამოყენების საქმეს.

აღსანიშნავია, რომ სასოფლო ყრილობების მიერ მიღებული დადგენილებები ძირითადად დროულად სრულდება, რადგან საკითხების განხილვაში და მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულების საქმეში მთელი მოსახლეობა მონაწილეობს, გარდა ამისა მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულების საქმეში აქტიურ მონაწილეობას ღებულობენ საბჭოების აღმასკომები, მუდმივი კომისიები, დეპუტატები და აქტივი. მახარაძის რაიონული საბჭოს აღმასკომი რეგულარულად ისმენს სასოფლო ყრილობების ჩატარებისა და მიღებულ დადგენილებათა შესრულების მდგომარეობის საკითხებს და ახორციელებს კონკრეტულ ღონისძიებებს გამოვლინებულ ნაკლოვანებათა ლიკვიდაციისათვის. სასოფლო ყრილობების მიერ მიღებული დადგენილებების შესრულების შედეგად თელავის რაიონის სოფლებში გაყვანილ იქნა 1000 გრძივი მეტრი წყალსადენი, შეკეთდა სოფლის შიდაგზები, ხიდ-ბოგირები. ორჯონიკიძის რაიონის სოფელ ბორითში შეკეთდა და გაფართოვდა მაღაზიის შენობა, საშუალო და დაწყებით სკოლებს მიშენდა 14 საკლასო ოთახი. მახარაძის რაიონის კონჭკათის სასოფლო ყრილობის დადგენილების განხორციელების შედეგად საკოლმეურნეო შრომას დაუბრუნდა ყველა ის შრომისუნარიანი კოლმეურნე, რომლებიც წინათ არ მონაწილეობდნენ საკოლმეურნეო შრომაში და სხვ.

ამასთან ერთად მოქალაქეთა საერთო კრებების (სასოფლო ყრილობების) ჩატარებისა და მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულების საქმეში ადგილი აქვს ნაკლოვანებებს. სასოფლო საბჭოების ზოგიერთი აღმასრულებელი კომიტეტი ჯეროვნად არ აფასებს მოქალაქეთა საერთო კრებების მნიშვნელობას, სათანადო ყურადღებას არ აქცევს ორგანიზაციულ-მასობრივი მუშაობის ამ ფორმას, როგორც სახელმწიფოს მმართველობის ორგანოებში მშრომელთა ფართო მასების მონაწილეობის მნიშვნელოვან საშუალებას. თელავისა და ორჯონიკიძის რაიონული საბჭოების აღმასკომებს, როგორც გასულ ისე მიმდინარე წელს, არ უმსჯელიათ მოქალაქეთა საერთო კრებების ჩატარების ორგანიზაციის საკითხებზე, არ მოუსმენიათ წარმოება-დაწესებულებებისა და ორგანიზა-

ეროვნული

ციების ხელმძღვანელთა ინფორმაციები მოქალაქეთა საერთო კრებების მიერ მიღებული გადაწყვეტილების შესრულების შესახებ. მოსახლეობას იშვიათად აცნობენ ზემდგომი პარტიული და საბჭოთა ორგანოების მნიშვნელოვან დადგენილებებს და საქართველოს სსრ კანონებს, უმაღლესი საბჭოს დადგენილებებს და პრეზიდიუმის მიერ მიღებულ ბრძანებულებებს. ასევე იშვიათად ისმენენ მუდმივი კომისიების, აღმასკომების განყოფილებათა გამგეების, წარმოება-დაწესებულებების, განათლების, კულტურის, სამედიცინო, სავაჭრო და სხვა ორგანიზაციების ხელმძღვანელების ანგარიშებს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

1. დაევალოს მახარაძის, თელავის და ორჯონიკიძის მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების აღმასკომებს მეტი ყურადღება დაუთმონ მოსახლეობის საერთო კრებებს (სასოფლო ყრილობებს), როგორც სახელმწიფოს მმართველობის ორგანოებში ფართო მასების მონაწილეობის ერთ-ერთ სრულყოფილ ფორმას და ამ დადგენილებაში აღნიშნულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრის მიზნით:

ა) ფართოდ გამოიყენონ სასოფლო ყრილობები, როგორც მშრომელთა კომუნისტური სულისკვეთებით აღზრდის საშუალება, სოფლებისა და დაბების სამეურნეო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობის საკითხებში მოქალაქეთა ფართო მასების მონაწილეობის, მათი ყოველდღიური საჭიროებისა და მოთხოვნილებების დაკმაყოფილების მნიშვნელოვანი ღონისძიება;

ბ) სასოფლო ყრილობებზე მოისმინონ სასოფლო საბჭოს აღმასკომებისა და საბჭოს მუდმივი კომისიების, რაიონული საბჭოების აღმასკომების განყოფილებების საანგარიშო მოხსენებები, განათლებისა და ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულებების, ვაჭრობის, საყოფაცხოვრებო მომსახურების ორგანიზაციების ხელმძღვანელებისა და საზოგადოებრივი თვითმოქმედი ორგანიზაციების ანგარიშები;

გ) აამაღლონ სასოფლო ყრილობების როლი მართლწესრიგის განმტკიცების, სახელმწიფო და საზოგადოებრივი ქონების დაცვის საქმეში, აგრეთვე წარსულის გადმონაშთების წინააღმდეგ ბრძოლაში;

დ) სისტემატურად სრულყონ სასოფლო ყრილობების ჩატარების პრაქტიკა, შეისწავლონ და განაზოგადონ დადებითი გამოცდილება იმ მიზნით, რომ იგი ხელმისაწვდომი იყოს ყველა სასოფლო საბჭოსათვის. აღმასკომის სხდომებზე მოისმინონ საკითხი სასოფლო ყრილობების ჩატარების პრაქტიკის შესახებ;

ე) გააშუქონ რაიონულ პრესაში სასოფლო ყრილობების მუშაობა, მისცენ კონკრეტული შეფასება ყრილობაზე განხილულ საკითხებს.

2. დაევალოთ მშრომელთა დეპუტატების საოლქო და რაიონული საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს მეტი ყურადღება მიაქციონ საერთო კრებების (სასოფლო ყრილობების) მომზადებასა და ჩატარებას, კრებებსა და ყრილობებზე მსჯელობის საგნად გახადონ სოფლისათვის აქტუალური საკითხები, ყველა ღონისძიება გაატარონ მიღებულ გადაწყვეტილებათა შესასრულებლად,

ეროვნული ბიბლიოთეკა

განაზოგადონ ამ საქმეში დაგროვილი დადებითი გამოცდილება და მიიღონ ზომები არსებული ნაკლოვანებების გამოსასწორებლად.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1965 წლის 26 ივნისი.

დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 398 საქართველოს სს რესპუბლიკაში ბუნების დაცვის კანონის შესრულების მიმდინარეობის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, რომელმაც მოისმინა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სოფლის მეურნეობის მუდმივი კომისიის თავმჯდომარის დეპუტატ ნ. ხომიზურაშვილის მოხსენება, აღნიშნავს, რომ 1958 წლის 18 ნოემბრის კანონმა „საქართველოს სსრ ბუნების დაცვის შესახებ“ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა რესპუბლიკის ბუნებრივ სიმდიდრეთა მოვლის, დაცვის, რაციონალურად გამოყენებისა და განვითარების საქმეში.

საგრძნობლად გაუმჯობესდა ტყეების, სასარგებლო ფაუნის, სათიბ-საძოვრების, წყლის რესურსების მოვლა-დაცვისა და გამოყენების საქმე. რესპუბლიკის მთელ რიგ რაიონებში შემცირდა ტყეების უნებართვოდ გაჩეხვის, სასარგებლო ფრინველ-ცხოველებზე არაორგანიზებული და მტაცებლური ნადირობის შემთხვევები, წარმოებს აქტიური ბრძოლა თევზის რესურსების შემდგომი გაფართოებისათვის, აგრეთვე მისი განადგურების და უკანონოდ დაჭერის წინააღმდეგ.

რესპუბლიკის ბუნების დაცვისა და მისი მოვლის საქმეში სულ უფრო ფართოდ ებმება საზოგადოებრიობა.

მიუხედავად ზემოთ აღნიშნული მიღწევებისა, საქართველოს ბუნების დაცვის, მოვლისა და მისი ეფექტურად გამოყენების საქმეში ადგილი აქვს ნაკლოვანებებს.

რესპუბლიკაში ჯერ კიდევ მოიპოვება დაახლოებით 500 ათასი ჰექტარი ტყე, რომელიც წარსულში წარმოებულ უსისტემო ჭრების შედეგად არადამაკმაყოფილებელ მდგომარეობაშია. საქართველოს მთელ რიგ რაიონებში (სამხრეთ ოსეთი, აჭარა, გორი, კასპი, საგარეჯო, გურჯაანი და სხვა) ტყეების საერთო მდგომარეობის გაუარესების გამო ადგილი აქვს წყალდიდობას, მეწყერს, ეროზიას და სხვა მავნე სტიქიურ მოვლენებს.

მერქნით სარგებლობის წლიური ოდენობა, რესპუბლიკის მასშტაბით, დადგენილ საანგარიშო ტყეკაფის სიდიდეზე ნაკლებია, რაც საექსპლუატაციო ტყის მასივებამდე გზების უქონლობით არის გამოწვეული. ძალიან ცუდად ხდება ხე-ტყის პროდუქციით ადგილობრივი მოსახლეობის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება (დაახლოებით 15 პროცენტით). ამ მხრივ განსაკუთრებით ცუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დი მდგომარეობაა სამხრეთ ოსეთის, ახალქალაქის, გორის, საგარეჯოს, [illegible]ლის, წითელწყაროს და სხვა რაიონებში.

შეშის, სამასალე მერქნისა და ტყის სხვა პროდუქციის ნაკლებობის გამო ადგილი აქვს ტყის უნებართვოდ ჭრების შემთხვევებს, განსაკუთრებით საკოლმეურნეო ტყეებში.

დღემდე შემუშავებული არ არის ეფექტური ღონისძიებები ნაძვის ლაფანჭამიისა და სხვა მავნებელთა წინააღმდეგ საბრძოლველად.

ტყეების უნებართვოდ გაჩეხვას ადგილი აქვს აჭარის ასსრ, სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქსა და რესპუბლიკის ზოგიერთ სხვა რაიონებში. აჭარის ასს რესპუბლიკაში 1961-1964 წლებში უნებართვოდ მოჭრილ იქნა 1150 მ³ ხე-ტყე, რომლის საერთო ღირებულება 7176 მანეთს შეადგენს.

სასამართლოსა და მილიციის ორგანოები სათანადო ყურადღებას არ უთმობენ ტყის უნებართვოდ გაჩეხვის წინააღმდეგ ბრძოლას, აჭიანურებენ სატყეო ორგანოების მიერ გადაცემული საქმეების განხილვას. ამასთან სუსტია საპროკურორო ზედამხედველობა აღნიშნულ საქმეებზე.

აფხაზეთის ასს რესპუბლიკაში სასამართლოზე გადაცემული 34 საქმიდან დღემდე განხილული არ არის 14 საქმე. სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში 1900 საქმიდან (1961-1965 წლის განმავლობაში) სასამართლოების მიერ განხილულია მხოლოდ 1252 საქმე, ახმეტის რაიონის სახალხო სასამართლოს დღემდე არ განუხილავს ტყის უნებართვოდ გაჩეხვის თაობაზე გადაცემული 36 საქმე.

ტყის მეურნეობის რაციონალურად წარმოების თვალსაზრისით განსაკუთრებით არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობაა შექმნილი საკოლმეურნეო ტყეებში. აქ ტყის მეურნეობა არ წარმოებს გეგმიანად და წინასწარ ორგანიზებული მეთოდებით. ამის ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი ისიც არის, რომ კოლმეურნეობებს არ ჰყავთ მეტყევე სპეციალისტები, რომლებიც უხელმძღვანელებენ ტყეებში სათანადო სატყეო-სამეურნეო ღონისძიებების დროულად და ხარისხიანად განხორციელებას.

მიუხედავად იმისა, რომ უკანასკნელ წლებში სატყეო-საკულტურო სამუშაოების მოცულობა და ხარისხი სახელმწიფო ტყის ფონდში საგრძნობლად გაიზარდა, ამ საქმეში ჯერ კიდევ აქვს ადგილი ნაკლოვანებებს. საქართველოში ათეული ათასი ჰექტარი ტყით დაუფარავია, განსაკუთრებით საკოლმეურნეო ფართობებზე.

სერიოზული ნაკლოვანებები არსებობს სასარგებლო ფაუნის მომრავლებისა და დაცვის საქმეში. ადგილი აქვს ნადირობის ვადების დარღვევისა და სასარგებლო ფრინველსა და ცხოველებზე არასწორ და ზოგიერთ შემთხვევაში მტაცებლურ ნადირობის შემთხვევებს. ჯერ კიდევ არაა აღმოფხვრილი ბრაკონიერობა; აჭარის ასს რესპუბლიკაში 1964 წელს გამოვლინებულია ნადირობის წესების დარღვევის 37 შემთხვევა, ხოლო 1965 წლის მაისამდე — 10, აფხაზეთის ასს რესპუბლიკაში 1964 წელს გამოვლინებული იქნა ბრაკონიერობის 80 შემთხვევა.

სასარგებლო ფაუნის მომრავლებისა და ორგანიზებული ნადირობის უზრუნველყოფის მიზნით მთელ რიგ რაიონებში წინასწარ შედგენილი არ არის

მუხ. 398
ეროვნული ბიბლიოთეკა

ნადირობის გეგმები. თითქმის ყველა შემოწმებულ რაიონში არადამაკმაყოფილებელ დონეზეა დაყენებული ფრინველთა და ცხოველთა ოდენობის აღრიცხვა, ფრინველებისა და ცხოველების მომრავლების ვოლიერული წესი.

ჯერ კიდევ შედგენილი არ არის სამონადირეო მეურნეობის განვითარების ერთიანი რესპუბლიკური გეგმა.

მთელ რიგ რაიონებში არასახარბიელო მდგომარეობაა თევზის რეწვისა და დაცვის საქმეში. არ არის აღმოფხვრილი დაუშვებელი ხერხებით თევზის მოპოვება. არის შემთხვევები, როცა თევზს იჭერენ მომწამვლელი და ასაფეთქებელი ნივთიერებების გამოყენებით.

მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოები, მათი მუდმივი კომისიები და აღმასრულებელი კომიტეტები ჯერ კიდევ არადამაკმაყოფილებლად იბრძვიან ბუნების რესურსების მოვლის, დაცვისა და გაფართოებისათვის. ნაკლებად იხილავენ ამ დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საქმის გაუმჯობესებასთან დაკავშირებულ საკითხებს და ეფექტურ ღონისძიებებს არ სახავენ ბუნების დაცვის საქმეში არსებულ სერიოზულ ნაკლოვანებების აღმოფხვრისათვის. მათ ჯერ კიდევ ვერ უზრუნველყვეს ამ საერთო სახალხო საქმეში დეპუტატების, მუდმივი კომისიების, მოსახლეობის ფართო მასების ჩაბმა და ბუნების დაცვის წესების დამრღვევთა წინააღმდეგ საზოგადოებრივი აზრის შექმნა.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

1. დაევალოს აფხაზეთის და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის საბჭოს აღმასკომს, მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივ საბჭოებს და მათ აღმასკომებს:

ა) ყოველმხრივი ღონისძიებების დროულად გატარებით უზრუნველყონ ბუნებრივი რესურსების დაცვა, მოვლა-გაფართოება და მათი რაციონალური გამოყენება.

მკაცრი ზომები მიიღონ იმ პირებისა და ორგანიზაციების მიმართ, რომლებიც არღვევენ ბუნების დაცვის კანონებსა და ნორმებს;

ბ) სისტემატურად შეამოწმონ ბუნების დაცვის კანონის შესრულების მდგომარეობა; პერიოდულად განიხილონ ეს საკითხი სესიებისა და აღმასკომების სხდომებზე და დასახონ კონკრეტული ღონისძიებანი გამოვლინებულ ნაკლოვანებათა ლიკვიდაციისათვის. ამ საქმეში ფართოდ ჩააბან დეპუტატები, მუდმივი კომისიები და მოსახლეობის ფართო მასები;

გ) მიიღონ საჭირო ზომები ტყეების თვითნებური ჭრის სრული ლიკვიდაციისათვის, სათანადო დახმარება გაუწიონ სატყეო მეურნეობის ორგანოებს ტყე-კულტურების გაშენებასა და მათი მოვლა-პატრონობის საქმეში; მიაღწიონ იმას, რომ ყველა საბჭოთა მეურნეობამ, სატყეო მეურნეობამ, კოლმეურნეობამ უზრუნველყოს ქარსაცავი და მინდორსაცავი ტყის ზოლების გაშენების დაწესებული გეგმების შესრულება. გაატარონ საჭირო ღონისძიებები ნიადაგის ეროზიის წინააღმდეგ.

2. დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ სატყეო მეურნეობისა და ხე-ტყის დამზადების მთავარ სამმართველოს:

ეროვნული ბიბლიოთეკა

ა) საქართველოს ტყეების ნიადაგდაცვის, წყალმარეგულირებელი, კურორტო და სხვა სასარგებლო ფუნქციების შენარჩუნების, შემდგომი გაძლიერებისა და რაციონალური ტყის მეურნეობის წარმოების მიზნით, საქართველოს ტყეებში მერქნით სარგებლობის ოდენობა შემდეგშიც განსაზღვროს საექსპლოატაციო ტყის მასივების მერქნის საშუალო წლიური ნამატის ფარგლებში, იმ ვარაუდით, რომ ტყით სარგებლობის ხანგრძლივი პერიოდისათვის ჰქონდეს უწყვეტი და ცოტა თუ ბევრად თანაბარი ხასიათი, ამასთან მერქნით სარგებლობა აწარმოოს საექსპლუატაციო კორომების მთლიან ფართობზე ისე, რომ არ მოხდეს რომელიმე ნაწილის გამეჩხერება;

ბ) მოსახლეობისა და წარმოება-დაწესებულებების მერქნის პროდუქციაზე მოთხოვნილების დაკმაყოფილების მიზნით ფართოდ დანერგოს ტყის კომპლექსური ჭრის მეთოდი და სხვ.;

გ) გადამჭრელი ზომები მიიღოს სახელმწიფო ტყეებში თვითნებური ჭრების დროული ლიკვიდაციისათვის, შორეული ტყის მასივების ათვისებისათვის, უზრუნველყოს სათანადო ხე-ტყის საზიდი გზების მშენებლობა;

დ) გააძლიეროს ტყის კულტურების გავრცელება უტყეო და მცირე ტყიან რაიონებში ძვირფასი და სწრაფმზარდი ჯიშებით; უზრუნველყოს სანერგეებში რაიონების ნიადაგისა და კლიმატური პირობების შესაბამისი ჯიშების გათვალისწინებით საკმაო რაოდენობის ნერგების გამოყვანა;

ე) განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს გაშენებული ტყის კულტურების მდგომარეობას. არ დაუშვას მათი გაჩანაგება და უზრუნველყოს კულტურების მაქსიმალური გახარება; გააძლიეროს მუშაობა არსებულ ქარსაფარების მოვლა-დაცვისათვის.

3. დაევალოს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სატყეო ინსტიტუტს დახმარება გაუწიოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ სატყეო მეურნეობისა და ხე-ტყის დამზადების მთავარ სამმართველოს გამეჩხერებული ტყის მასივების აღდგენისა და მისი მწარმოებლების ცოდნის ამაღლების საქმეში.

4. დაევალოს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს:

ა) გაატაროს საჭირო ღონისძიებანი დამტკიცებული გეგმის შესაბამისად მინდორსაცავი ტყის ზოლების გაშენებისა და მათი მოვლა-პატრონობის უზრუნველსაყოფად;

ბ) რაციონალურად გამოიყენოს სათიბ-საძოვრები;

გ) საკოლმეურნეო ტყეებში არსებული სერიოზული ნაკლოვანებების გამოსწორების მიზნით უზრუნველყოს სათანადო სპეციალისტთა კადრების შერჩევა, რომელთაც დაევალებათ რაციონალური ტყის მეურნეობის წარმოება;

დ) მკაცრი ბრძოლა გამოუცხადოს საკოლმეურნეო ტყეების განადგურება-გაჩანაგების ფაქტებს. ყველა კონკრეტულ შემთხვევაში გამოვლინებულ იქნენ წესრიგის დამრღვევნი და მათ წინააღმდეგ მიღებულ იქნეს სასტიკი ზომები.

5. მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების აღმასკომებმა რჩევა მისცენ რესპუბლიკის კოლმეურნეობებს საკოლმეურნეო ტყეებში მეურნეობის გაუმჯობესებისა და ტყის დაცვის მიზნით განიხილონ საკითხი საკოლმეურნეო

ეროვნული

ტყეების ნაწილის, განსაკუთრებით დიდი დაქანების ფერდობებზე არსებული ტყის მასივების, სახელმწიფო ტყის ფონდში გადაცემის შესახებ.

6. დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ სატყეო მეურნეობისა და ხე-ტყის დამზადების მთავარ სამმართველოს, საზოგადოება „ბუნების მეგობრის“ რესპუბლიკურ საბჭოს, საზოგადოება „მონკავშირის“ რესპუბლიკურ საბჭოს და საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ბუნების დაცვის კომისიას საქართველოს სასარგებლო ფაუნის დაცვისა და მომრავლების მიზნით:

ა) უზრუნველყონ სასარგებლო ფაუნაზე ნადირობის წესებისა და ვადების ზუსტად განხორციელება, ნადირობის წლიური გეგმების დროულად შესრულება;

ბ) ჩაატარონ სანადირო ცხოველთა წინასწარი აღრიცხვა და ამის შესაბამისად დაუშვან ადგილებზე ნადირობის გეგმები. განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ მტაცებელ მავნე ცხოველებზე ორგანიზებული ნადირობის საქმეს;

გ) დროულად ჩაატარონ ყველა ის ბიოტექნიკური ღონისძიებები, რომლებიც უზრუნველყოფენ სასარგებლო ფაუნის დაცვას, სამონადირეო ფონდის გამრავლებას და რაციონალურად გამოყენებას;

დ) სასტიკი ბრძოლა გამოუცხადონ ბრაკონიერობას. ყველა კონკრეტული შემთხვევა ფართო საზოგადოებრივი მსჯელობის საგნად გახადონ. მონადირეთა აქტივისაგან შექმნან ბრიგადები, რომლებიც უზრუნველყოფენ სამონადირეო სავარგულების დროულ შემოვლას, ნადირობის წესების დაცვასა და განხორციელებას.

7. დაევალოს საქართველოს თევზდაცვის სამმართველოს:

ა) სასტიკი ბრძოლა გამოუცხადოს დაუშვებელი ხერხებით, ქიმიური და ასაფეთქებელი ნივთიერებებით თევზის დაჭერის შემთხვევებს. სათანადო პასუხი მოსთხოვოს იმ პირებს, რომლებიც უხეშად არღვევენ თევზის ჭერის ნორმებსა და წესებს;

ბ) ქმედითი ღონისძიებები გაატაროს თევზის მოშენებისა და მისი რაციონალურად გამოყენების თვალსაზრისით.

8. დაევალოს საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს შეისწავლოს ჰიდროელექტროსადგურებთან თევზსასვლელ ნაგებობათა მოწყობის საკითხი და გაატაროს საჭირო ღონისძიებები შინაწყალსატევებში თევზის გამრავლებისათვის.

სამრეწველო საწარმოთა მიერ მდინარეებსა და თევზის მეურნეობის წყალსატევების გაბინძურების თავიდან ასაცილებლად მოაწყოს გამწმენდი ნაგებობანი.

9. დაევალოს საქართველოს სსრ წყალთა მეურნეობის სამინისტროს ყველა ჰიდროტექნიკურ ნაგებობის სარწყავ არხებში თევზის მოხვედრის ასაცილებლად განახორციელოს სპეციალური თევზსაცავი მოწყობილობის დაგეგმვა.

10. დაევალოს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს აგროქიმიისა და ნიადაგმცოდნეობის ინსტიტუტთან ერთად უახლოეს ვადაში შეადგინოს ეროდირებული ფერდობების აღდგენისა და ეროზიის საწინააღმდეგო

ეროვნული ბიბლიოთეკა

ღონისძიებების ფართო გეგმა, რომელიც უზრუნველყოფს ამ ფართობების სახალხო მეურნეობის სამსახურში ჩაყენებას.

11. დაევალოს საქართველოს სსრ პროკურატურას, უმაღლეს სასამართლოს და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამინისტროს მიიღონ ზომები საქართველოს სსრ ბუნების დაცვის კანონის დამრღვევთა მიმართ, არ დაუშვან მათზე გადაცემული საქმეების გაჭიანურება, ამასთან ზოგიერთ დამრღვევთა მიმართ საქმეების განხილვა მოაწყონ გამსვლელ სესიებზე.

12. დაევალოს საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს სისტემატურად გამოსცეს ლიტერატურა, ბროშურები და პლაკატები ბუნების დაცვის საკითხებზე.

13. დაევალოს რესპუბლიკურ ჟურნალ-გაზეთების რედაქციებს, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს რადიომაუწყებლობისა და ტელევიზიის სახელმწიფო კომიტეტებს გააძლიერონ პროპაგანდა ბუნების დაცვის საკითხებზე, ამ მუშაობაში ფართოდ ჩააბან მეცნიერები, მწერლები, სპეციალისტები და მშრომელთა ფართო აქტივი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1965 წლის 26 ივნისი.

## განყოფილება მეორე

## ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 399 პროფესორ ი. ტ. მენთეშაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

სახალხო ჯანმრთელობის დაცვის დარგში ხანგრძლივი და ნაყოფიერი სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობისათვის, დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით პროფესორი ირაკლი ტიმოთეს ძე მენთეშაშვილი დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1965 წლის 29 ივნისი.

## ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 400 ამხ. ა. ნ. გოგლიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით საქართველოს კომპარტიის ცენ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტრალური კომიტეტის საორგანიზაციო-პარტიული მუშაობის განყოფილების ინსპექტორი ამხ. კონსტანტინე ნიკოლოზის ძე **გოგლიძე** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.**

თბილისი, 1965 წლის 29 ივნისი.

## ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 401 ამხ. ვ. კ. აბესაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

სამეურნეო ორგანიზაციებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს ტექნიკური სამმართველოს უფროსის მოადგილე ამხ. ვკოლა კონსტანტინეს ძე **აბესაძე** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.**

თბილისი, 1965 წლის 29 ივნისი.

## განყოფილება მესამე

## საინფორმაციო ცნობა

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1944 წლის 18 აგვისტოს ბრძანებულების საფუძველზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1965 წლის 26 ივნისის ბრძანებულებით „სახელოვანი დედის“ ორდენებითა და „დედობის მედლის“ მედლებით დააჯილდოვა 649 მრავალშვილიანი დედა, მათ შორის:

| | | |
|---|---|---|
| ქ. თბილისიდან | | 25 |
| ქ. ფოთიდან | | 12 |
| ახალქალაქის | რაიონიდან | 20 |
| ახალციხის | „ | 24 |
| ბოგდანოვკის | „ | 12 |
| ბოლნისის | „ | 183 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

| | | | |
|---|---|---|---|
| გარდაბნის | რაიონიდან | . . . . . | 165 |
| გურჯაანის | „ | . . . . . | 1 |
| ვანის | „ | . . . . . | 35 |
| ზესტაფონის | „ | . . . . . | 16 |
| ზუგდიდის | „ | . . . . . | 26 |
| თელავის | „ | . . . . . | 12 |
| მახარაძის | „ | . . . . . | 15 |
| მცხეთის | „ | . . . . . | 10 |
| სამტრედიის | „ | . . . . . | 8 |
| წალკის | „ | . . . . . | 27 |
| წყალტუბოს | „ | . . . . . | 9 |
| ხობის | „ | . . . . . | 15 |
| ცხაკაიას | „ | . . . . . | 34 |